

კომუნიკაცია

თქვენ ბავშვს უკვე შეუძლია ბევრ თემაზე ლაპარაკი და მარტივი მითითებების შესრულება. შეიძლება უშვებდეს გრამატიკულ შეცდომებს, მაგრამ მომხდარი ამბის მოსაყოლად იყენებს გრძელ წინადადებებს. ესაუბრეთ ყველაფერზე, რაც ხდება. წაუკითხეთ წიგნი ყოველდღე. ისიც შეეცდება „წაიკითხოს“ წიგნი იგივე სიტყვების გამოყენებით, რაც თქვენ წაუკითხეთ.

ჟურნალების კითხვა	მომეხნეთ სურათები ჟურნალში და ისაუბრეთ მათ შესახებ. ეცადეთ ისეთი სურათები შეარჩიოთ, რომელიც თქვენი შვილისთვის ნაცნობია: საპონი, კბილის პასტა, ცხოველები, მანქანები. მიუთითეთ სურათზე და ჰკითხეთ: „რა არის ეს? გვაქვს ჩვენ ასეთი სახლში? რაში ვიყენებთ?“
თავის გასულებლება	ბავშვი კარგად გაერთობა, თუ თქვენ თავს გაისულებლებთ. მოიქცეთ ისე, ვითომ არ იცით გარკვეული საგნების მნიშვნელობა. მიუთითეთ კბილის პასტაზე და ჰკითხეთ ბავშვს: „ეს საპონია?“ ათქმევინეთ მას, რა არის ეს სინამდვილეში. გაიოცეთ. მას მოეწონება თქვენთვის სწორი პასუხის „სწავლება“.
შეხვევა	სახვევად შეიძლება გამოიყენოთ ლენტი ან სტიკერი. ჰკითხეთ ბავშვს: „აბა მაჩვენე, სად გვაქვს ჭრილობა?“ შეამოწმეთ, სხეულის რამდენი ნაწილის დასახელებას შეძლებს. მიეხმარეთ შედარებით რთული სიტყვების გამოყენებაში. „ო, შენ მაჯა იტკინე?“ შეუხვიეთ. ეს ნახვევი ბანაობის დროს ადვილად მოშორდება. იგივე თამაშში ჩართეთ თოჯინა ან რბილი სათამაშო ცხოველი.
საგნების დალაგება	დაიხმარეთ პატარა სხვადასხვა ნივთების გადალაგებაში, როგორც არის საკვები ან სარეცხი. გამოიყენეთ ისეთი სიტყვები და თანდებულები, როგორცაა ზევით, ქვევით, -ზე, -ში: „გთხოვ, დადე ქილა თაროზე“ ან „გთხოვ, ჩადე შენი წინდები უჯრაში.“ გადაუხადეთ მადლობა დახმარებისთვის! შეგიძლიათ სულებლური დავალებებიც მისცეთ: „დადე ლიმონი სკამის ქვეშ.“
რა ხდება?	სთხოვეთ ბავშვს, აღწეროს წიგნში ან ჟურნალში არსებული სურათი: „რას აკეთებს ბავშვი? რა აკეთებს ძაღვი?“ შემდეგ კი გულდასმით მოუსმინეთ თქვენი ბავშვის საინტერესო ნაამბობს.
რა გქვია?	ითამაშეთ ასეთი თამაში: მოიქცით ისე, თითქოს არ იცნობთ თქვენს ბავშვს და უთხარით: „გამარჯობა პატარა ბიჭო/გოგონა, რა გქვია?“ როდესაც ის გიპასუხებთ, მიესალმეთ ბედნიერი და მხიარული გამომეტყველებით: „ო, შენ ჩემი პატარა ბიჭი/გოგო ხარ! როგორ მიხარია შენი ნახვა!“

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

მსხვილი მოტორიკა

თქვენ პატარას ისეთი უნარები უვითარდება, რომელიც ხელისა და ფეხის კუნთების გამოყენებას საჭიროებს. ის ავარჯიშებს კუნთებს, რომ გახდეს უფრო ძლიერი, მოქნილი და კოორდინირებული. მას შეუძლია 20 სმ ზომის ბურთის დაჭერა, 70 სმ-ზე გადახტომა, სირბილის დროს მკვეთრად მოხვევა, სიარულის დროს წინალობების გადალახვა.

მდინარე	სახლის გარეთ თამაშის დროს ბალახზე დააფინეთ 60-70 სმ სიგანის პირსახოცი და უთხარით: „ეს არის „მდინარე“. გადაახტუნეთ ბავშვი მდინარეზე ისე, რომ არ „დასველდეს“. თავიდან შეგიძლიათ პირსახოცი ისე გადაკეცოთ, რომ მდინარე არც ისე განიერი გამოვიდეს. შემდეგ ჯერზე შეგიძლიათ მდინარე გააფართოვოთ. უფრო ხილვით ნიანგებს ☺
ფეხბურთი	დაარტყმევინეთ თქვენს პატარას გასაბერ ბურთზე ფეხი ისე, რომ ოთახის მეორე ბოლოში მოისროლოს. დადეთ ოთახის ბოლოში ყუთი, რომელიც ფეხბურთის კარის მოვალეობას შეასრულებს. აბა სცადეთ, თუ შეძლებს ბურთის გატანას.
ცხოველივით სიარული	აჩვენეთ, როგორ დადიან სხვადასხვა ცხოველები. მოსინჯოს, თუ შეძლებს დათვივით ბაჯბაჯს ან ძაღლივით ოთხზე სიარულს. მიეხმარეთ, რომ ბავშვმა წარმოიდგინოს, ვითომ რომელიმე ცხოველია და ამ ცხოველის ხმას გამოსცემს. ითამაშეთ ერთად. დაუძახეთ კატას: „მოდი ფისო, ფისო.“ დადექით ცალ ფეხზე, ვითომ ვარდისფერი ფლამინგო ხართ.
სიარული	აჩვენეთ პატარას, როგორ უნდა იაროს ისე, რომ ჯერ დადგას ქუსლი და შემდეგ ტერფის წინა, თითების ნაწილი. გაიაროს ტროტუარის კიდეზე ან იაროს სახლში სწორ ხაზზე. წონასწორობის შესანარჩუნებლად მას შეუძლია ხელები გაშალოს. შეუძლია დაიჭიროს ქოლგა და წარმოიდგინოს, ვითომ ცირკის ბაგირზე დადის.
კალათბურთი	კედელთან ახლოს, იატაკზე დადეთ სარეცხის ცარიელი კალათა. ბავშვს მიეცით 10 სმ ზომის რბილი ბურთი. იატაკზე გაშალეთ თოკი ან ლენტის სასროლი ხაზის მოსანიშნად. აჩვენეთ, როგორ უნდა ისროლოს ბურთი აწეული ხელებით, რომ კალათში ჩააგდოს. თავიდან სროლა დაიწყეთ კალათიდან 60-70 სმ დაშორებით. როდესაც ის უკვე კარგად მოახვედრებს ამ მანძილიდან, თანდათან გაზარდეთ სასროლი მანძილი.
საპნის ბუმბუტები	კარგ ამინდში გადით ეზოში და გაბერეთ საპნის ბუმბუტები. სთხოვეთ ბავშვს ხელების შემოკვრით გახეთქოს ბუმბუტები. ზოგი ბუმბუტი გაუშვით ისე მაღლა, რომ ბავშვს დასჭირდეს ზემოთ ახტომა. ზოგი კი შორს გაუშვით, რომ გაირბინოს ბუმბუტების გასახეთქად. ჯერ გახეთქეთ დიდები, მერე გახეთქეთ პატარები. როდესაც ამ თამაშს მორჩებით, დაიბანეთ საპნიანი ხელები!

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

ნატიფი მოტორიკა

თქვენ ბავშვს ფანქარი და მარკერი უკვე მოზრდილივით, ცერისა და ორი თითის გამოყენებით, უჭირავს. უკვე იცის, როგორ იხმაროს მაკრატელი და ფურცელს თუ დაუჭერთ, გაჭრასაც შეძლებს. ისეთი პატარა სათამაშოების ასაწყობად, როგორც არის კუბების ერთმანეთში ჩასმა ან მძივების აცმა, ის ორივე ხელს ერთდოულად იყენებს. მას უკვე შეუძლია ხუთ- ან მეტნაწილიანი ფაზლის აწყობა.

ფაზლის აწყობა

საბავშვო საკვების მუყაოს ყუთის წინა კედელი დაჭერით ოთხ ან ხუთ ნაწილად, რომ ფაზლი გამოვიდეს. თავიდან მის ასაწყობად თქვენს ბავშვს შესაძლოა დახმარება დასჭირდეს, თუმცა მას მოეწონება ამ ფაზლის შეერთება.

პატარა მწერალი

აჩვენეთ, როგორ უნდა ხაზების და წრეების ან რაიმე მარტივი ფიგურების დახატვა. მისთვის ყველაზე ადვილი ხაზების და წრეების გავლება იქნება. მას შესაძლოა მოუხდეს თავისი სახელის პირველი ასოს დაწერა. იხალისეთ! არაუშავს თუ მისი ნიშნები სულაც არ ჰგავს ნამდვილ ასოებს. წახალისეთ მისი მცდელობა: “შენ ძალიან კარგად გამოგდის წერა!”

მაშა

მიეცით ბავშვს სამზარეულოს პატარა მაშა ან პინცეტი. ნახეთ, შეძლებს თუ არა ბამბის ბურთულების ან მაკარონის თეფშის ერთი კიდიდან მეორე კიდეში გადატანას. შემდეგ რაიმე უფრო მძიმე სცადეთ, მაგალითად ნიგოზი, თხილი ან პატარა ქვა.

პატარა მექანიკოსი

შეაგროვეთ დიდი ზომის ჭანჭიკები და შესაბამისი ქანჩები. ბავშვს მოეწონება მათი ერთმანეთზე მორგება და მოჭერა.

წკიპურტის კვრა

გააკეთეთ გაზეთის ფურცლებისგან პატარა ბურთულები და აჩვენეთ თქვენს პატარას, როგორ ისროლოს ბურთი წკიპურტის დარტყმით მაგიდის გასწვრივ, იატაკზე, ყუთში ან რაიმე სამიზნისკენ. წკიპურტისთვის გამოიყენეთ საჩვენებელი და ცერა თითი. ნახეთ, რა მანძილზე შეძლებს წკიპურტით ბურთულის გადაგდებას ან მოახვედრებს თუ არა სამიზნეს. ნახეთ, რა სასაცილო თამაში გამოგივათ!

ბუმტები

ფანქრით ან მარკერით დაახატინეთ ფურცელზე ბუმტები. რამდენიც უნდა იმდენი დახატოს და მერე გააფერადოს. აჩვენეთ დიდი და პატარა ბუმტის დახატვა, იასამნისფერი და მწვანე ბუმტი. ახლა როცა მან ბევრი ბუმტი დახატა, იქნებ იმის დროაა, რომ ნამდვილი ბუმტებიც გაუმვას!

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

პრობლემის გადაჭრა

თქვენმა ბავშვმა უკვე იცის, რით გვანან საგნები ერთმანეთს და რით განსხვავდებიან. მან იცი ფერები, იცის მოკლე და გრძელი, დიდი და პატარა, რომელი კოვზია თქვენს სამზარეულოში ყველაზე დიდი. თქვენი დახმარებით მას შეუძლია სამი სხვადასხვა ზომის ნივთი სიდიდის მიხედვით დაალაგოს. წარმოსახვითი თამაში ისევ მნიშვნელოვანია და ორივესთვის კარგი გასართობია.

რა არის ეს?

ბანაობის შემდეგ დასვით ან დააყენეთ თქვენი პატარა სარკის წინ და ისე გაამშრალეთ. როდესაც მას თმას უმშრალებთ, ჰკითხეთ, „ნეტა, რა არის ეს ბუჩქი?“ როდესაც ბეჭებს უმშრალებთ, ჰკითხეთ: „ესენი რა არის?“ როდესაც მას გულმკერდს უმშრალებთ, ჰკითხეთ: „ეს რა ძვლებია აქ?“ გაერთეთ ერთად, შეუღლიტინეთ, გულში ჩაიკარით და ასწავლეთ სხეულის ნაწილების სახელები.

მატარებელი

ჩაამწკრივეთ ოთხი ან ხუთი პატარა მანქანა ან რაიმე საგანი, ვითომ მატარებელია. დარწმუნდით, რომ მიხვდა, როგორც გააკეთეთ. ახლა მას მიეცით რაიმე საგნები, რომ ჩაამწკრივოს და მატარებელი გააკეთოს. ვაგონებად შეგიძლიათ სხვადასხვა ნივთები გამოიყენოთ: კუბები, კოვზები, ნიჟარები. უთხარით: „შეხედე შენს მატარებელს. სად მიდის?“

დიდი და პატარა

აჩვენეთ თქვენს ბავშვს ორი სხვადასხვა ზომის ნივთი, მაგალითად ფეხსაცმელები, ჭიქები ან კოვზები. აუხსენით, რომელია დიდი და რომელი პატარა. ისაუბრეთ სხვადასხვა ნივთების ზომებზე სახლში, პარკში, მაღაზიაში: „შეხედე იმ გოგრას. ის მართლაც რა დიდია!“ ასევე, დაამატეთ საშუალო ზომის ნივთებიც და ითამაშეთ თამაში - დიდი, პატარა და ერთიც საშუალო.

მომიყევი შენი მოთხრობა

მიეცით ბავშვს ფურცელი და ფერადი ფანქრები ან მარკერები სახატავად. მოაყოლეთ რას ხატავს. დაწერეთ მისი მონათხრობი ფურცელზე. ამობეჭდეთ მისი სახელი. უთხარით: „ეს არის შენი მოთხრობა და ეს არის შენი სახელი“. წაუკითხეთ ეს მოთხრობა ოჯახის სხვა წევრებს.

წაკითხვა

აჩვენეთ ბავშვს თქვენი სახლის მახლობლად არსებული ნიშნები, მაგალითად „სდექ“ ნიშანი. უთხარით მისი მნიშვნელობა. მიანიშნეთ მატარებლის ლიანდაგის ნიშანზე და უთხარით, რომ აქ მატარებელი გაივლის. კაფეში აჩვენეთ ტუალეტის ნიშანი და აუხსენით რომელია ქალებისთვის და რომელი კაცებისთვის. აჩვენეთ ზებრასავით დახაზული ქვეითთა გადასავლელი ქუჩაში. როდესაც თქვენ კვლავ ქუჩაში გამოხვალთ, უკვე მას წაკითხეთ ეს ნიშნები.

უაზრო მარცვლები

მანქანით ან ავტობუსით მგზავრობისას ითამაშეთ „გამეორებობანა“: თქვით რაიმე უაზრო ბგერები, მაგალითად „ბიი“, „ზიმ“, „ზოპ“ და ნახეთ თუ გაიმეორებს. შემდეგ მას ათქმევინეთ რაიმე უაზრო მარცვლები და თქვენ გაიმეორეთ. ახლა უკვე იმდერეთ ამ უაზრო ბგერების გამოყენებით.

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.

პიროვნულ-სოციალური

თქვენს ბავშვს უკვე აქვს საკუთარი თავის მოვლის აუცილებელი ზოგიერთი ჩვევა, მაგრამ თქვენი დახმარება და ჩახუტება მისთვის ისევ ძალიან მნიშვნელოვანია. ნაცნობ გარემოში ის დამოუკიდებელია. მარტივ მითითებებს ასრულებს. შეუძლია სხვა ბავშვებთან ერთად მარტივ თამაშებში ჩართვა. ის სიამაყით ივსება, როდესაც კარგად მოქცევისთვის, თქვენი დახმარებისთვის, თქვენი დავალების შესრულებისთვის ან რაიმეს დამოუკიდებლად გაკეთებისთვის შეაქვთ.

საჭმლის მომზადებაში დახმარება

დაიხმარეთ თქვენი პატარა საჭმლის კეთების დროს მორევაში, დასხმაში, გარეცხვაში, ფოთლების ხელით დაქუცმაცებაში. თქვენი და პლასტმასის დანის დახმარებით მას შეუძლია ისეთი ხილიც დაჭრას, როგორც არის მაგალითად ბანანი. ეს არის ნამდვილი დახმარება. უთხარით: “მადლობა, საჭმლის მომზადებაში რომ გვეხმარები“. სთხოვეთ მას, ოჯახის წევრებს მოუყვეს, თუ რა არის სალათში.

არაჩვეულებრივი დამლაგებელი

აჩვენეთ თქვენს ბავშვს, როგორ უნდა ნაგვის ჩაყრა სანაგვე ყუთში. თუ ის ქალღმერთს ძირს დააგდებს, სთხოვეთ აილოს და სანაგვეში ჩააგდოს. მას შესაძლოა მოეწონოს თქვენი დახმარება ნაგვის პარკის გარეთ გატანისას, როცა თქვენ მას ნაგვის მანქანის მოსვლამდე სპეციალურ კონტეინერში დებთ. აუხსენით თუ რა მნიშვნელოვანია, რომ სისუფთავე შევინარჩუნოთ. აუხსენით რა მოხდება თუ ნაგავს იქვე დაყვრით.

ბანაობა

თქვენ ბავშვს მოეწონება გამოსცადოს დამოუკიდებლად ბანაობა. ასწავლეთ, როგორ უნდა ღრუბლის და საპნის გამოყენება. აუხსენით, რა კარგია ბანაობა. შემდეგ მიეცით პირსახოცი, რომ გაიმშრალოს: „ვისია ეს პატარა სუფთა ბიჭი?“ გაერთეთ ამ პროცესით!

ემოციის სახელი

ასწავლეთ თქვენს პატარას ემოციების და შეგრძნებების გაგება მათი შემჩნევითა და დასახელებით. ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ სხვა ადამიანებსაც აქვთ გრძნობები: „როდესაც შენ შენს დას სათამაშოს ართმევ, მას ეს სწყინს“. არ მოერიდოთ დიდი სიტყვების გამოყენებას: “მინდა გითხრა, რომ შენ ახლა ადელვებულის ხარ, რადგან დღეს შენი დაბადების დღეა.“

არაჩვეულებრივი მძღოლი

შექმენით დაბრკოლებებიანი ტრასა სახლში ან ეზოში. მიეცით საშუალება თქვენს პატარას სათამაშო ეტლით ან პატარა ურიკით გვერდი აუაროს ამ დაბრკოლებებს: ყუთებს, ქვებს, პლასტმასის ვედროს, მილს. ფინიშის ხაზთან კი მას ტკბილი ჩახუტება ელოდება!

შეხედე შენს თავს

შექმენით ტანსაცმლის სკვირი. კარადიდან გამოიღეთ თქვენი ძველი ტანსაცმელი. გამოიყენეთ მამაკაცის ტანსაცმელიც. გამოგადგებათ ძველი საფულეები, ქუდები, ყელსახვევი, ქამრები, ფეხსაცმელები და ყელსაბამები. მიეცით საშუალება თქვენს პატარას ჩაიცვას და სარკეში ჩაიხედოს. ითამაშეთ და გაერთეთ, არ დაგავიწყდეთ კამერის ჩართვა!

გახსოვდეთ! ბავშვი საჭიროებს მოზრდილის მუდმივ მეთვალყურეობას. გადაამოწმეთ ყველა ნივთი, სათამაშო და საკვები არის თუ არა უსაფრთხო ბავშვისთვის.